სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი.
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრ[illegible]
მეოთხედ 4 კაპ.
Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

მართა ბეჟუას ასული ნადირაძისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას, პირველი საყვარელის ქმრისა და მეორენი ძვირფასის მამისა

მღვდლის ანტონ ნადირაძისა

მიცვალებულის დაკრძალავენ წირვისა და პანაშვიდის შემდეგ შაბათს, 6 ივნისს სოფელ ჭორვალაში (შორაპნის მაზრაში). (1—1)

ქართული თეატრი
შაბათს, 6 ივნისს
ქართული საერო ხორო ალ. კავსაძის
ლოტბარობით გამართავს
კონცერტს
ოთხ განყოფილებათ 22 სიმღერით
ახალ სიმღერებს შორის ხორო შეასრულებს „ფერხულს“

განყოფილება I.

1) მგზავრული — — — არაგვის-პირული
2) გუშინ შვიდნი გურჯანელნი — — ფშავ-ხევსურული
3) ვარადო — — — ოსური
4) ოროველა (გუთნური) — — სოლო კავსაძისა
5) წყლის პირას დგანან ბალები — იმერული

განყოფილება II.

1) მგზავრული — — — ოსური
2) ბრძანა სოლომონ — — ფშავ-ხევსურული
3) თოხნური — — — ზემო ქართლული
4) სატრფოვ შენთვის დავიბადე — სოლო (კავსაძისა)
5) კუჩხა ბედნიერა — — მეგრული

განყოფილება III.

1) მგზავრული — — — კახური
2) ჭონა — — — არაგვის-პირული
3) თოხნური — — — კახური
4) სულო ბოროტო — — სოლო კავსაძისა
5) გოგოვ შუშანაო — — ზემო ქართლული
6) ოდელია — — — გურული

განყოფილება IV.

1) მურმან მურმან — — არაგვის-პირული
2) თავო ჩემო — — — სოლო კავსაძისა
3) შუშან ქალო — — — კახური
4) მივალ გურიაში — — იმერული
5) სუფრული — — — ქართლური
6) „ფერხული“ — — — არაგვის-პირული.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია ✦ ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8½ საათზე გამგე და ადმინისტრ. ნ. გოცირიძე

ქართული თეატრი
კვირას, 7 ივნისს
ქართულ თეატრის აქტიორებისაგან წარმოდგენილ იქნება საზოგადოების თხოვნით მეორედ ახალი პიესა (შესწორებული)
I
არკადიას სადილი
სცენები ჩვენის ცხოვრებიდან 3 სურათად.
II
ადამ და ევა
კომ. 2 მოქმ. გად. დ. მესხის მიერ
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. რჩეულოვისა, გაბუნიისა, ბ.ბ. აბაშიძე, საფაროვი, გალუსტოვი, თამაზოვი, ხიმშიაშვილი, გოცირიძე და სხ.
დასაწყისი 8½ საათზე
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
ვისაც პარტერის ბილეთი აქვსთ, იმას ანტრაქტების დროს ბაღში უფასოდ შეუშვებენ.

იბეჭდება და 15 თიბათვისათვის მზად იქნება გასასყიდად ახალი წიგნი:
თ. ილია ჭავჭავაძე
ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი
წერილი პირველი
მეგახლავარ-ისა
წიგნი ეღირება 20 კაპ. წიგნების მაღაზიის პატრონებს ვსთხოვთ, ეხლავე შეგვატყობინონ, რამდენის ცალის დაბარება ჰსურთ. ნაღდ ფულად წიგნი დაეთმობათ 12 კაპ., კომისიით დაეთმობათ 20%. წინადვე დაბარება იმისთვის იქნება საჭირო, რომ ავტორი 20 თიბათვეს ტფილისიდგან გავა სოფლად.
ადრესი: „ივერიის“ რედაქცია, შარაძეს. გარდაეცეს ბ-ნს მეგახლავარს.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ — დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას — ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** ახალი გამგეობა დრამ. საზოგადოებისა. გუშინ საღამოს თერთმეტ საათზე გათავდა კრება დრამატიული საზოგადოებისა, რომელმაც აირჩია ახალი გამგეობა შემდეგ პირთაგან: ნ. ხიზანაშვილი, ნ. თუმანიშვილი, ნ. ჯორჯაძე, ვ. მანსვეტოვი, ვეზირიშვილი, თურქესტანიშვილი, და ვ. გუნია. სარევიზიო კომისიის წევრნი: პეტრე ყიფიანი, პ. უმიკაშვილი და ივ. მაჭავარიანი.

*** ქართული კონცერტი. შაბათს, 6 ივნისს ქართულ თეატრში ქართული საერო ხორო ალ. კავსაძის ლოტბარობით გამართავს კონცერტს, ოთხს გაიყოფილებათ და 22 სიმღერით. იმედია საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს რადგანაც ქართული გალობის მცოდნე პირნი ახლად გამოჩნდნენ და მათთვის თანაგრძნობა და დახმარება ფრიად საჭიროა.

*** ახალი დანიშნულება. პოლკოვნიკი პეშჩანეცკი დანიშნულია კავკასიის ოლქის შტაბის უფროსის თანაშემწედ გენერალ-მაიორის ხარისხით.

*** მეაბრეშუმეობის გამოფენა გაიმართება დ. ხონში, საზოგადო ბაღში 11 და 12 ივნისს. ასეთივე გამოფენა გაიმართება ლანჩხუთში ორ-კლასიან ნორმალურ სკოლის დარბაზში 18 და 19 ივნისს.

† ს. ი. ზროდლოვსკი. 2 ივნისს ოდესაში გარდაიცვალა ბათომის ქალაქის საბჭოს ხმოსანი და კასპიისა და შავი ზღვის ნავთის მწარმოებელ საზოგადოების გამგეობის წევრი ს. ი. ზროდლოვსკი.

*** ობოლთა სასამართლოს თავჯდომარის კანდიდატად, რომლის არჩევნები დანიშნულია 8 ივნისს, ასახელებენ გარდა დ. ზ. ყორღანოვისა, რომელსაც უჭირავს ამ ჟამად ეს თანამდებობა, ლ. თ. ტიგრანოვს (ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ხაზინადრად ნამყოფს), თავ. ნ. ე. არღუთინსკის (სამოსამართლო პალატის მდივნად ნამყოფს) და ბაშკიჩეთის მომრიგებელ მოსამართლეს მ. ა. სულიევს. („ტფ. ფ.“).

*** ინჟინერის მეიერის საქმე. ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორმა პროტესტი წარადგინა ამავე სასამართლოს განაჩენზე ინჟინერის ს. ს. მეიერისა და პოლიციის მოხელედ ნამყოფის ვოლოუზოვის საქმის შესახებ, რომელთაც ბრალდებათ გაყრის საქმის თაობაზე მოწამეთა შევულიანება ცრუ ჩვენების მიცემაზე.

*** სამოსამართლო პალატაში და საოლქო სასამართლოში 1-ლ ივნისიდან მუშაობა იწყება დილის 8 საათიდან და თავდება ნაშუადღევის 1-ლ საათზე.

*** ტყის გაშენება. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა თავ. ა. ა. ბებუთოვმა განცხადება წარუდგინა ქალაქის გამგეობას იმის შესახებ, რომ ფრანგების სასაფლაოზე, სოლოლაკზე და ავლაბარში არტილერიის კაზარმების გვერდზე პატარა ტყე იქნეს გაშენებული.

*** ქუთაისი. უგარგისი ველოსიპედები. აქაურ მეთუნუქესაგან ქირაობენ შეკეთებულ ველოსიპედებს, რომლებსაც არც მუხრუჭი და არც ზარი; ამის გამო როცა ამ ველოსიპედებით დასრიალებენ, ვეღარ აჩერებენ დროზე და ეხალებიან ხალხს. კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდნენ, ვისიც ჯერ არს.

ია ც—ძე

*** დ. ხონი. სამკითხველოს მოლოდინში. კარგა ხანია რაც ხონელები ფიქრობენ სამკითხველოს დაარსებას და მეცადინეობდნენ კიდეც, მაგრამ დღემდე ვერიფერი მოხერხდა. ეხლა ამ საქმის გამოწყობა მიენდო ბ-ნ ე. ქ—ს, რომელიც შეუდგა კიდეც გუბერნიის მმართველთან შუამდგომლობას და როგორც გვესმის საქმე მალე დაგვირგვინდება კიდეც.

სამკითხველოსათვის უკვე ფულიც შეკრებილია 250 მან. და შემდეგისათვისაც ხონელები მზად არიან ამ საქმეს დაეხმარონ. არ შეგვიძლიან მადლობით არ მოვიხსენიოთ პატივცემულნი კესარია ტატიშვილისა, ოლგა წერეთლისა, პელაგია მაყაშვილისა და ელენე ბახტაძის ასული, რომელთა თაოსნობით წარსულ ქრისტიშობისთვის დამლევს გამართული იყო საღამო სამკითხველოს სასარგებლოდ.

პიპიკო

*** ქ. ქუთაისი. საკვირაო სკოლის მდგომარეობა. ქუთაისის ერთად-ერთი საკვირაო სკოლა, რომელიც 7 წელიწადია არსებობს, მასწავლებელთა გულმოდგინე მეცადინეობის მეოხებით, ამ ჟამად შედარებით კარგად არის დაყენებული, არის ორი განყოფილება: სავაჟო და საქალებო. პირველში 108 მოწაფე, მეორეში 148; ხნოვანობით მოწაფენი არიან 12-დან 27 წლისანი. მოწაფეთა უმრავლესობას შეადგენენ ხელოსნები; სკოლაში მეცადინეობა იმართება კვირაობით, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. მოწაფეთ ასწავლიან შემდეგ საგნებს: რუსულსა და ქართულ ენებს, საღმთო სჯულს, არითმეტიკას. უფროს განყოფილებაში გვარიანად კითხულობენ სტატიებს ი. გოგებაშვილის რუსულ სახელმძღვანელოში, ხსნიან და თარგმნიან რუსულ სიტყვებს ქართულად. მოწაფენი ხალისით და გულმოდგინედ დადიან სკოლაში. სკოლა აძლევს თავის შეგირდებს ყველა სასწავლო ნივთებს; გარდა ამისა სკო-

ლაში არსებობს წიგნთ-საცავი, საიდანაც მოწაფეთ წიგნები ეძლევათ შინ საკითხავად. მასწავლებლობას ეწევიან ადგილობრივი ინტელიგენტები, რომლებიც დიდი ხალისით სწირავენ თავისუფალ დროს ხალხის განათლებას. სკოლას ეძლევა ყოველწლიურ შეძწეობად ქალაქისაგან 300 მან. გარდა ამისა, სკოლის სასარგებლოდ იმართება ხოლმე წარმოდგენები და საქველმოქმედო ბაზარი. ადგილობრივი ინტელიგენცია ცდილობს ნებართვა აიღოს სახალხო კითხვების გამართვაზე ბუნდოვანი სურათებით. იმედი აქვთ, რომ ამ ნებართვას მალე მიიღებნ („ტ. ფ.“)

⁂ **სოფ. ბახვი. სკოლის იუბილეი.** ამ წლის „ივერიის“ მე-80 ნომერში ბ. ჰამუთ-ბეიმ აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ რადგან ამ მოკლე ხანში ბახვის სკოლა გადავა ახალს შენობაში, რომლის კურთხევას ამ ზაფხულში აპირებენ კარგი იქნება მაშინ იქმნეს გადახდილი ამ სკოლის იუბილეი, რომელიც განზრახული იყო ამას წინად და რომელსაც ხელი შეუშალა სკოლის დამაარსებლის საყვარელის მოძღვრის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებამო. მეროგორც ამ სასწავლებლის მოსწავლედ ნამყოფთაგანი, დიდის სიამოვნებით ვეგებები ამ წინადადებას და სწორედ საჭიროდ მიმაჩნია, რომ ერთხელ და უკანასკნელათ პატივი ვცეთ ჩვენს აღმზრდელ სკოლას და მასწავლებლებს. ამიტომ ვთხოვთ სკოლის მმართველთ ან ვისგანაც ჯერ არს გვაცნობონ რომელს დროს იქმნება სკოლის კურთხევა, რაც შეიძლება ადრე, რადგან მრავალი ჩვენთაგანი გვარიან მოშორებით ცხოვრობენ სამშობლოზე და ვაი თუ დავბრკოლდეთ და დღესასწაულში მონაწილეობა ვერ მივიღოთ.

ბახვის სკოლის ყოფილ მოსწავლეთაგანი

⁂ **ი. გურიანთა** (გურია) **მასწავლებლის დაჭრა.** 27 მაისს, ვიღაც უცნობმა ბოროტ განმზრახველთ ხანჯლით დასჭრეს აქაური სოფლის მასწავლებელი ორჯონიკიძე. აი საქმის გარემოება: 27 მაისს, ღამის 10 საათზე სრულიად მარტოკა იყო სკოლის შენობაში, ნავახშმევს მივიდა კარის ჩასაკეტად და გარეთ აივნისკენ გაიხედა. ამ დროს უეცრივ ვიღამაც საშინლად დაჰკრა სახეში ხანჯალი, რის გამო მაშინვე ძირს დაეცა, შემდეგ ისევ გამოერკვა და ყვირილი დაიწყო. ამ ყვირილზე გამოვარდა ეკკლესიის მოსამსახურე დარაჯი, აანთო სანათი და დაინახა ორჯონიკიძე, რომ რღმად ჰქონდა ხანჯლით დაჭრილი ზედა ტუჩი და ყბა. მეორე დილით ექიმმა ჭრილობა შეუხვია და პოლიციას ამბავი აცნობეს ზომების მისაღებად.

ორჯონიკიძემ ეჭვი განაცხადა იქაურს რამდენსამე გლეხებზე, რომლებსაც იმისი ჯავრი სჭირებიათ („ჩერნომორ. ვესტ.“).

⁂ **დიდი-ჯიხაიში. სამკითხველოის გახსნა.** დიდი ხნის ნატვრა აგვისრულდა, რადგან უკვე დაგვიარსდა წიგნთ-საცავ-სამკითხველო. 27 მაისს მღ. დევიძემ აკურთხა წიგნთ-საცავის დარბაზი აუარებელის ხალხის თანადასწრებით. იმედია, ხალხი დაიწყებს სიარულს სამკითხველოში და დიდის ჯაფითა და შრომით ნაშოვნს ფულს აღარ გაფლანგავს დუქანში, რადგან ეცოდინება, რომ სამკითხველოში შეუძლიან თავი გაირთოს ისიამოვნოს წიგნის კითხვით. („ივერია“).

⁂ **ს. აკეთი** (გურია). **ნედლიმკების მოკრეფის საჭიროება.** ამ სოფელში ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული 1896 წლიდან 1898 წლამდე ნედლიმკის გასწორებას, რომელიც სზოგი სოფელზეა დარჩენილი, ზოგიც გადასახადის მომკრეფებზე. ამ ათ დღეში გაწერეს ამ 1898 წლის სახელმწიფო და სხვა სასოფლო გადასახადი. ამ გადასახადების მოკრეფა ხელს შეუშლის ნედლიმკის გასწორებას და ისეც დაბნეული ანგარიშები უფრო დაებნევა საზოგადოებას. სასურველია, ვისიც ჯერ არს, ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევდეს; და სანამ ამ წლის გარდასახძლს აკრეფდეს ნედლიმკებს მოჰკრეფდეს..

ლ. დუმბაძე

⁂ **ქართლი. გლეხის შინაური ცხოვრება.** ქართლის გლეხ-კაცის ცხოვრებას რომ კაცი დააკვირდეს, იტყვის: ეს ხალხი სწორედ პირუტყვებს დაახლოვებიაო და არც მოსტყუვდება. აბა შედით სოფელში და გადაავლეთ თვალი გლეხის მდგომარეობას. ამ მშვენიერს ბუნებით შემკულს არე-მარეში თვალწინ დაგიდგებათ რაღაც ნანგრევები, რომლებსაც არც კარებები უჩანს, არც სადმე სარკმლები, რომლებიც ჩათხრილია დედა-მიწაში; ერთს ადგილას გამოსჩანს ჩარღმავებული სორო,. რომელსაც წინ ერთი გადებული ლატანი აქვს; ხვრელია სახლის კარები, რომელიც მიწაში მიექანება და თუ ფთხილად არ ჩახვედით ჯოხის ბჯენით, შეიძლება თავი საექიმოთ გაგიხდეთ. შეაღეთ კარები და აი რა სურათს დაინახავთ შიგ?—თავლა გაყოფილია ორ ნაწილად: ერთში ხის ზღვე არის დაგებული და ზედ საქონელი აბია, მეორე მხარეს თვით სახლის პატრონი სცხოვრობს, რომლის სახლის ავეჯეულობას შეადგენს: ერთი დაგლეჯილი ჭილობი და ძველი ნაბდის ჩული ქვეშ-საგებად, ერთი გამჭვარტლული წყლის კოკა, ამნაირადვე გაგოზილი სურით, ხის მოგძო „ბაცანკალი“ თავის მისადებათ, რომელიც მუთაქის და ბალიშის მაგიორობას ასრულებს, თაროებზე შეამჩნევთსამიოდე თიხის გაჟანგულ ჯამს, ხის შინ გაფორტვნილს რამოდენიმე კოვზს, თითხისავე საშექამანდოს, ხონჩა-ტაბაკს და რამოდენიმე სასუქით გალესილს ფქვილისა და ხორბლის გოდრებს, მაღლა ჭერში წნელით ფიცარია გადებული, რომელზედაც მჭადის გოგროხანები აწყვია, ამითი თავდება ყოველივე განძეულობა გლეხ-კაცის ოჯახისა; რასაკვირველია, ყველა გლეხ-კაცი ასე არა ცხოვრობს, მაგრამ ასში იქნება ხუთი უკეთესად სცხოვრობდეს. რაიც შეეხება გლეხკაცის ძ იმის ცოლ-შვილის ტანთსაცმელს ეგეც მეტად შემაძრწუნებელი სანახავია: დიასახლისს აცვია იმისთანა კაბა, რომ ორას ადგილას არის დაკერებული და თუ ზარმაცია, ისეა ჩამოკონკილი, გეგონება საგიჟეთიდან გამოვარდნილაო. ბავშვებს აცვიათ ძველი პერანგები და მთელი მათი ტანთ-საცმელი ამით განისაზღვრება. ფეხის ჩაცმა ხომ იშვიათს მაგალითს შეადგენს, ქალისთვისაც და ბავშვებისთვისაც. ახლა გამობრძანდით გარეთ, დაათვალიერეთ კარ-მიდამო გულს შემოგყრისთ აუტანელი ბინძურობის სუნი, იქვე დერეფანის წინ ჰყრია რამოდენიმე წლის გაუტანელი სასუქი და დამდგარია წუმპე, ვინ იცის, რამდენი ხნის ნაავდრისა. საცვალსაც და ტანისამოსსაც ტანზე ჩაიცმენ, ნუ ღარ იფიქრებთ გაირეცხონ, ვიდრე სულ ფარა-ფარა არ შემოგლიჯებათ და შავი კლიონკასავით ძირს ცვივნას არ დაიწყებს...

ივ. კავთელი

⁂ **ჭიათურა. საჭირო განმარტება.** ბ- რედაქტორო! თქვენს პატივცემულს გაზ. „ცნ. ფურ.“-ში ამ წლის აპრილის 11, ვიღაც „აშკარა“ სწერდა, თითქო ჭიათურაში ნახული მკვდრის, კორბოულელი გლეხი, მომკვდარიყოს ჩემ მარგანეცის სამუშევარში და თითქო კ. ყიფიანი ჩემი ნოქარი იყოს. ორივე ეს ამბავი მტკნარი სიცრუეა. არც კ. ყიფიანი არის ჩემი ნოქარი და არც ჩემს სამუშაოში ვინ მომკვდარა; ღვთით ყველანი მშვიდობით ვართ,

ილარიონ გამყრელიძე

⁂ **სოფ. ჯიქეთი** (გურია). **ახალი ეკკლესია.** ამ წლის მარტიდან აქ, ადგილობრივი მამასახლისის მეცადინეობით, შეუდგნენ ახალ ეკკლესიის აშენებას წმ. გიორგის სახელობაზე. დღემდე სხვა და სხვა მიზეზების გამო, ამ ეკკლესიის აშენების საქმე შეფერხებული იყო დღეს კი, ჩვენდა სასიამოვნოდ, იმავე მამასახლისის, ბ. ჯინჭარაძის თაოსნობით. მცხოვრებთ ამოირჩიეს კომიტეტი, რომელსაც მიანდვეს მზრუნველობა ეკკლესიის აშენებისათვის. იმედია, მზრუნველები არ დაიშურებენ არც ხარჯს და არც შრომას ეკლესიის საქმის დასაგვირგვინებლად.

⁂ **ბათუმი. მოწაფეთა რაოდენობა გიმნაზიაში.** ბათომის გიმნაზიაში არის 124 მოწაფე; ამათგან არ იქმნა გადაყვანილი შემდეგს კლასში 18, განმეორებითი ეგზამენები დაენიშნათ 19, გადვიდნენ შემდეგს კლასში 87. მოსამზადებელ კლასის მოწაფენი, რომელთაც გადსასვლელი ეგზამენები მოიხადეს, ჩარიცხულნი არიან მხოლოდ კანდიდატებად პირველ კლასში შესასვლელად, იმიტომ რომ პირველ კლასში გიმნაზიის წესდებით, მიიღებიან კონკურსით საუკეთესო მოწაფენი მოსამზადებელ კლასისა და ის ბავშვები, რომელნიც საუკეთესოდ გადიხდიან პირველ კლასში შესასვლელ ეგზამენს; ამის გამო, პირველ კლასში მოწაფეთა ჩარიცხვა გადაწყდება დაბოლოებით აგვისტოს დამლევს ყველა მისაღები ეგზამენების შემდეგ.

— **კლასის მომატება გიმნაზიაში.** ბათომის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ბ. ნიკოლაძემ განცხადება წარუდგინა საბჭოს იმის შესახებ, რომ საჭიროა ამ წლის 1-ლ სექტემბერიდან გაიხსნას გიმნაზიაში პირველ კლასის პარალელური განყოფილება, რადგან ამ კლასში თავისუფალი ადგილი აღარ რჩება, მასში შესვლის მსურველთ და ეგზამენ-მოხდილთა სიმრავლის გამო.

## ყურმოკრული საუბარი

— დიახ, ძალიან სასიამოვნო იყო ჩემი წარსული!.. ხომ გახსოვთ, რა ერთი ბეწო ოთახში ვცხოვრობდი, ვერც კი გაივლიდა შიგ კაცი.

— მახსოვს, მახსოვს: მე კიდევ უფრო პატარა ოთახი მაქვს, მასში, ასე გასინჯეთ, საათმაც ვეღარ გაიარა, ავდექი და გამსესხებელ კასსას მივუტანე.

—

ერთი სიტყვის კითხვა. პროფესორი X., რომელიც ცნობილი იყო დავიწყებულობით, მიდის საჩქარო საქმეზე ვექილთან. —

— ბატონი წარსულს კვირას გარდაიცვალა, უპასუხა ვექილის მოსამსახურემ.

— არა უშავს-რა, მე მხოლოდ ერთი სიტყვა მაქვს საკითხავი.

—

ერთს გერმანელს ფრანგი ესტუმრა. სადილზე ფრანგმა უცაბედად ერთი ჭიქა წითელი ღვინო დაღვარა. ფაქიზ გერმანელს გულმა არ მოუთმინა და ჰკითხა:

— პარიზში თქვენ ყველა ეგრე იქცევით?

— არა, —უპასუხა ფრანგმა—ჩვენში იმდენად ზრდილობიანი ხალხია, რომ მაგისთანა უბრალო საქმეს ყურადღებას არ აქცევენ.

## სხვა-და-სხვა ამბები

ელექტრონის სხივების გამოყენება ომში. ამერიკის სხვა და სხვა გაზეთების რედაქციებმა პრემიები დაუნიშნეს იმათ, ვინც უფრო მარჯვე გეგმას შეადგენს „ისპანიელების უფრო სწრაფად დახოცვისათვის“. რედაქციები ღებულობენ მრავალ გეგმას. ამ გეგმების უმეტესი ნაწილი, რასაკვირველია, სასაცილოა, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი გეგმა, რომელიც შეუდგენია ერთ ამერიკელ უნიჭიერეს აღმომჩენს ნიკოლოზ ტესლას. ტესლა თითქმის იმდენადვეა ცნობილი, რამდენადაც ედისონი, და თუ ის თავისი ხელის მოწერით აცხადებს რამეს, იჭვს გარეშეა, რომ მის გეგმას საფუძვლად უდევს ადვილად განსახორციელებელი აზრი. ტესლა გვარწმუნებს, რომ მას აღმოუჩენია და გაუუმჯობესებია ერთგვარი აპარატი, რომლის შემწეობით უშველებელ მანძილზე [illegible] ელექტრონის სხივები [illegible] საშინელი დენის მქონე ელვა-მეხი; ერთი ასეთი ელვა-მეხი სრულიად საკმარისია, რომ მტრის გემი ნაფოტ-ნაფოტათ ვაქციოთ.

—

მეხის დაცემა. ამ დღეებში, სუინელი ჭექა-ქუხილის შემდეგ, ერთს ანტორაში მეხი ჩამოვარდა, რომელიც ტელეფონის აპარატს დაეცა. საშინელი ხმა გამოსცა აპარატმა, რომლიდგანაც ცეცხლის მაგვარათ განათებული ბურთი გამოვარდა და დაიწყო ოთახში ირგვლივ ტრიალი, შემდეგ იქვე მეორე ოთახის გაღებულ კარებში გავარდა, გასკდა და იმნაირი ხმა ჰქონდა, თითქო რევოლვერი დასცალესო.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 ივნისი

**ნიუ-იორკი.** გვანტანამოდან იუწყებიან, რომ ამერიკის ჯარმა ისპანეთის ჯარი დაამარცხაო.

**მადრიდი.** კადიქსიდან გავიდა ესკადრა, მაგრამ საითკენ აქვს გზა არავინ იცის.

**ვაშინგტონი.** პალატამ 209 ხმის უმეტესობით 91 წინააღმდეგ მიიღო წინადადება გავაის შემოერთებაზე,

**პარიზი.** ფორი მთელი დღე თათბირობდა სხვა და სხვა დასთა წარმომადგენლებთან. ამბობენ, რომ ხვალ ფორი ერთ-ერთს დაავალებს კაბინეთის შედგენას.

**მადრიდი.** მანილიიდან იუწყებიან, რომ აჯანყებულებმა იერიშით აიღეს ორი სიმაგრე, თუმცა ესპანელნი ძრიელ იბრძოდნენო. ფიქრობენ, რომ მანილია დამორჩილდება ამერიკის ჯარსაო.


# განცხადებანი

მმართველობა ყარსის რკინის გზისა ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამას წინედ დაბეჭდილ განცხადებაში შესახებ იჯარით ვაცემისა გზების გასაყვანად სადგურ სანაინიდან სოფ. სუზუნლიარამდე ბორჩალოს მაზრაში შეცდომით არის დაბეჭდილი, რომ ვადა თხოვნების შემოსატანად ანიშნულია ამ წლის 10 ივნისისათვის, უნდა იყოს 10 ივლისისათვის 1898 წ.

(4—4)

## ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1 ივნისიდამ მის კანცელარიაში სამსახური დაიწყება დილის 8 საათიდამ და გათავდება ნაშუადღევის 1 საათზე. მოთხოვნილების მიღება ცნობების მიცემა შეიძლება დილის 8 საათიდამ—12-მდე. (2—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Iюня 1898 г. სტამბა „ცნობისფურცლისა“ (ვ. გუნიასი) სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია